


ჰომოტიკური გეპლანატი

სახანგრომო უსაფრთხოების სანსახურიზა

და ანგარიზანდაქუქანის დაჯიჯიტი



მშვიდობის საზოგადოება



2025



სარჩევი

შესავალი	3
ძირითადი მიგნებები	4
მეთოდოლოგიური ჩარჩო.....	6
1. სამსახურის მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო.....	7
1.1 სუსის მანდატისა და დაფინანსების ზრდა	8
1.2 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დანიშვნის წესი და მნიშვნელობა	12
1.2.1 კანონის პრაქტიკული აღსრულება.....	13
2. ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის შეფასება	16
3. სუსის მანდატის გადაჭარბება და რესურსების არარაციონალური ხარჯვა.....	20
4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი და მისი მნიშვნელობა	22
5. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება.....	25
ოკუპირებული ტერიტორიები	26
სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა	28
ხელოვნური ინტელექტი.....	31
კორუფცია	31
სამართლებრივი ბაზა და სასამართლოსთან ურთიერთობა.....	33
ანგარიშვალდებულება, პერსონალური მონაცემები, საჯარო ინფორმაცია	33
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება	34

ს
ო
რ
ი
ტ
ი
ქ
უ
რ
ი

ბ
ა
ვ
ი
ნ
ა
ნ
ი

დ

ე
ნ
ბ
ე
ნ
ი
შ
ა
ნ
ი
ე
ნ
ა
ნ
ი
ს

ე
ნ
ფ
ი
ს
ი
თ
ი



შესავალი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუსი) 2015 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა, თავდაპირველი დაპირების მიხედვით, როგორც ოპერატიულ-ანალიტიკური ფუნქციების მქონე ორგანო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მისი შექმნის მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს უკონტროლო ძალაუფლების შემცირება და ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზება. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში სუსის ფუნქციები საგრძნობლად გაფართოვდა და მისი მოქმედება ბევრ სფეროში სცდება კანონით განსაზღვრულ მანდატს. ამასთან, ის შექმნისთანავე აღიჭურვა საგამოძიებო მანდატით.

უსაფრთხოების სამსახური წლებია იძიებს სისხლის სამართლის ისეთ საქმეებს, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოებას. უწყებას ასევე ექვემდებარება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მანდატით აღჭურვილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რაც არასათანადო კონტროლის პირობებში, ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს ზრდის.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სუსის პოლიტიზების საკითხი კიდევ უფრო აშკარა გახდა. მოულოდნელი ცვლილებები და პარტიული ხელმძღვანელების დახურულ კარს მიღმა დანიშვნა, ამის კიდევ ერთი დასტურია. მიუხედავად უწყების დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიებისა, წლების განმავლობაში დაწყებული/დაუმთავრებელი გამოძიებები, გაკეთებული განცხადებები და სამსახურის მიერ პარტიული ინტერესების გატარება, მის უკიდურეს პოლიტიზებაზე მიანიშნებს. ამასთან, „ქართული ოცნების“ პარლამენტის პირობებში, სუსზე საპარლამენტო კონტროლი ანულირებულია, რაც სამსახურს კიდევ უფრო ჩაკეტილს ხდის. შედეგად, ნაცვლად ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, სუსი წარმოადგენს პარტიის ხელში არსებულ ინსტრუმენტს, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევისთვის გამოიყენება.



ძირითადი მიზნები



● უფლებამოსილების გადაჭარბება/ბოროტად გამოყენება

სუსი აქტიურად იძიებს ისეთ საქმეებს, რომლებიც მისი მანდატის ფარგლებს სცდება. ამასთან, მის მიერ დაწყებული გამოძიებების შინაარსი მოწმობს, რომ მისი რესურსი პარტიული ინტერესებისთვის იხარჯება.

● ბაზრდული დაფინანსება და გაუმჭვირვალობა

2016 წლიდან 2025 წლამდე, სუსის ბიუჯეტი გაიზარდა 104 მილიონიდან 226 მილიონ ლარამდე. დაფინანსების ზრდის პარალელურად, არ გაზრდილა დასაქმებულთა რაოდენობა (რაც საჯაროდ ხელმისაწვდომია). ხარჯების მიზნობრიობის შეფასება გართულებულია, რადგან ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში გასაიდუმლოებულია.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უწყება კიდევ უფრო დახურული გახდა. ის არ გასცემს იმ საჯარო ინფორმაციას, რომელიც გასულ წელს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო.

● სუსის საქმიანობაზე ზედამხედველობის ანულირება

წლების განმავლობაში უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან ყველაზე ნაკლები კონტროლი სუსზე ხორციელდებოდა. კონტროლის ერთადერთი გამოყენებული მექანიზმი წერილობითი კითხვაა. კითხვების რაოდენობა ყოველწლიურად მეტ-ნაკლებად მზარდი იყო, თუმცა „ქართული ოცნების“ პარლამენტის პირობებში, 2025 წელს უწყებისთვის არცერთი წერილობითი კითხვა არ გაგზავნილა. პრაქტიკაში საპარლამენტო ზედამხედველობა ფაქტობრივად გაუქმებულია.



პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინსტიტუტი და გაუმჯობესება

ბოლო პერიოდში სუსის უფროსების აქტიური ცვლილებები უწყების პოლიტიკებისა და პარტიული გავლენების მაჩვენებელია. მის ხელმძღვანელად „ქართული ოცნების“ აქტიური წევრების დანიშვნა კი, მისი დამოუკიდებლობის არარსებობაზე მიუთითებს.

ფარული მოსმენების ბოროტად გამოყენების რისკი და არააფექტიანი კონტროლი

სუსის დაქვემდებარებაში მყოფი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო 2017 წლიდან ახორციელებს ფარულ მოსმენებს. კანონის მიუხედავად, მოსმენებზე არ არსებობს რეალური, დამოუკიდებელი ზედამხედველობა.

სუსის მანდატის გაფართოება და დაზვერვის სამსახურის გაუმჯობესება

2025 წელს დაზვერვის სამსახური გაუქმდა და სუსის სტრუქტურაში ეროვნული დაზვერვის სააგენტოს სახით შევიდა. ეს ნაბიჯი, შიდა და საგარეო დაზვერვის გაერთიანებით, ზრდის ანგარიშვალდებულების დეფიციტს და არ შეესაბამება დემოკრატიულ სტანდარტებს.

ანტიკორუფციული საქმიანობის პოლიტიკაცია და შერჩევითობა

მიუხედავად იმისა, რომ სუსის მანდატში კორუფციასთან ბრძოლაც შედის, წლების განმავლობაში არ გამოვლენილა მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები. რამდენიმე გახმაურებული დაკავება 2025 წელს უფრო პოლიტიკურ დაპირისპირებებს უკავშირდება, ვიდრე სისტემურ ანტიკორუფციულ ბრძოლას.

მიუხედავად იმისა, რომ სუსის მიზანი ეროვნული უსაფრთხოების დაცვაა, უწყება ხშირ შემთხვევაში რესურსებს ხარჯავს საკითხებზე, რომლებიც კავშირში არაა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან — მათ შორის, ყოველდღიური დანაშაულის გამოძიებაზე, რაც არ შეესაბამება მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.



მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიშში შეფასებული და განხილულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მანდატი, უფლებამოსილება, პრაქტიკაში მისი აღსრულების საკითხი, ზედამხედველობა/ანგარიშვალდებულების ხარისხი და უწყების ირგვლივ განვითარებული მოვლენები. დოკუმენტში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია სამსახურის მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო, ორგანიზაციული სტრუქტურა და დაფინანსება, დემოკრატიული ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის შეფასებასა და უფლებამოსილების ბოროტად/პოლიტიკური მიკერძოებით შესაძლო გამოყენების შემთხვევებზე.

მონაცემების დაგროვება და ანალიზი

ანგარიშის მომზადების საწყის ეტაპზე განვსაზღვრეთ შესასწავლი ნორმატიული აქტების ნუსხა და დავამუშავეთ მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სუსის საქმიანობას და ადგენს მასზე ზედამხედველობა/კონტროლის მექანიზმებს.

ვებგვერდების მონიტორინგი

წლების განმავლობაში, ორგანიზაციისთვის დოკუმენტის მომზადების თვალსაზრისით, ძირითად წყაროს საჯარო ინფორმაციის გზით გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენდა. თუმცა ბოლო პერიოდში შექმნილი მძიმე პოლიტიკური გარემოსა და შესაბამისი უწყებების ჩაკეტილობის ხარისხის გაზრდის გამო, ანგარიშის მომზადებისას ძირითადად ვიხელმძღვანელებთ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციით. კერძოდ, დოკუმენტის მომზადების დროს განხორციელდა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ვებგვერდების (პარლამენტის ვებგვერდი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდი) მედიამონიტორინგი.

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები

დოკუმენტის მომზადებისას ასევე შევისწავლეთ სხვადასხვა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტები და სუსის მანდატი და საქმიანობა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შეფასდა. ამასთან, ანგარიშში გამოყენებულია ადგილობრივი აქტორების (ორგანიზაციების) ანგარიშები, რაც შესაძლებელს ხდიდა პროცესის შედარებით ანალიზს და საერთაშორისო სტანდარტებთან შეჯერებას.



1. სამსახურის მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი¹ არის ის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ამ უწყების მანდატს, უფლებამოსილებებს, სამუშაო მიმართულებებს და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის თანახმად, სუსი არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო უწყება, რომლის მთავარი ამოცანაა **სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა**. მისი საქმიანობის მიმართულებები მოიცავს:

- კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას;
- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას;
- ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას;
- კორუფციის გამოვლენასა და პრევენციას;
- სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას;
- საგარეო საფრთხეების თავიდან აცილებას.

ამ მიზნების მისაღწევად, კანონი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რომლებიც სუსმა შეიძლება ჩაატაროს თავისი საქმიანობის პროცესში. ასეთია *პრევენციული ღონისძიებების* განხორციელება, რაც მათ შორის მოიცავს პირის გამოკითხვას, იდენტიფიკაციას, ზედაპირულ შემოწმებას, სპეციალურ დათვალიერებას და სხვა. კიდევ ერთი ღონისძიება, რომლის განხორციელების უფლება სუსს აქვს, არის *გამოძიების წარმოება* და *დამნაშავე/ბრალდებული პირების დევნა-დაკავება*. საგამოძიებო უფლებამოსილების სუსის მანდატში მოქცევა კრიტიკის საგანი არაერთხელ გახდა. სუსს ასევე აქვს უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს *იძულების მეთოდები* (ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში), სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, სუსის საქმიანობის ძირითადი სფეროებია სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფა (ობიექტების, მაღალი რანგის პირთა დაცვა, საზღვრის უსაფრთხოება), მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო

¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905260?publication=22>



ბრუნვის აღკვეთა, უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადება, ევროკავშირის საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიმართულებით, სამსახურის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, მათი შესრულების კონტროლი იმ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა), რომლებშიც ხორციელდება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა, პირის შემოწმება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიზნით, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კავშირგაბმულობისა და ელექტრონული საშუალებების კონტროლი.

სუსის მანდატი საკმაოდ ფართო და სხვადასხვა მიმართულების უფლებამოსილებებს მოიცავს, ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა ჩარჩოს უწესებს კანონმდებლობა ამ ორგანოს საქმიანობისთვის და როგორია მისი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე.

1.1 სუსის მანდატისა და დაფინანსების ზრდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2015 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა. რეფორმის განხორციელების მთავარი საფუძველი მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფართო და უკონტროლო ძალაუფლება იყო. თუმცა საბოლოოდ არ შესრულდა „ქართული ოცნების“ მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში გაცემული დაპირება, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მხოლოდ ოპერატიულ-ანალიტიკურ ფუნქციებზე (საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე) კონცენტრირებას გულისხმობდა.

შექმნის დღიდან მას კანონმდებლობით საგამოძიებო უფლებამოსილებებიც მიენიჭა, რაც გულისხმობს დანაშაულის გამოვლენას, აღკვეთასა და გამოძიებას. მის ერთ-ერთ მიმართულებად კი კორუფციასთან ბრძოლა განისაზღვრა. ორგანიზაციის დაკვირვებით, წლების განმავლობაში უწყება აქტიურად იძიებდა წვრილმან კორუფციულ დანაშაულებს, მაშინ, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიზანია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.² გარდა ამისა, უწყება იძიებს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც, თავისი არსით, მის მანდატს არ შეესაბამება და

² დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, 2022 წელი. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/MQTcO>



ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან შემხებლობა არ აქვს. ამიტომაც, სამსახურის საბიუჯეტო და ადამიანური რესურსის მსგავს გამოძიებებზე მიმართვა, არამიზნობრივი ხარჯვაა. პრაქტიკაში არის მაგალითები,³ როდესაც სუსმა გამოძიება დაიწყო ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა განზრახ მკვლელობის მომზადება (სსკ-ის მე-18 და 108-ე მუხლები); თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის 115-ე მუხლი); ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (სსკ-ის 124-ე მუხლი); თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი). ეს დანაშაულები საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება და გარკვეულ შემთხვევებში, ის შესაძლოა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გამოეძიებინა. თუმცა ეს დანაშაულები, რომელთაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან, სუსმა გამოძიდა, რადგან საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს აქვთ უფლება, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღონ საქმე და გამოსაძიებლად გადასცენ სხვა საგამოძიებო ორგანოს.⁴ გაუგებარია, სუსის მანდატთან შემხებლობაში არმყოფი სისხლის სამართლის დანაშაულები რატომ გადაეცა სამსახურს გამოსაძიებლად.

ამასთან, მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებისა,⁵ რომლის მიხედვითაც, არაკონსტიტუციურადაა ცნობილი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ორგანოს **პროცესის სათანადო კონტროლის გარეშე** სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან ტექნიკური წვდომის შესაძლებლობას აძლევდა, 2017 წლის 22 მარტიდან საქართველოში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. ამ უკანასკნელზე არ არსებობს ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. დახურული, ფართო და უკონტროლო უფლებამოსილების მქონე უწყების მხრიდან კი მანდატის ბოროტად გამოყენების რისკი გაიზარდა.

³ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საბიუჯეტო და ადამიანურ რესურსებს არარაციონალურად ხარჯავს. ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1484/>
⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33, ნაწილი 6, ქვეპუნქტი ა). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=170>
⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/625,640, 2016 წლის 14 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2299>



სამსახური, როგორც დამოუკიდებელი უწყება და სამსახურის დაქვემდებარებაში ეროვნული დაზვერვის სააგენტოს სახელით გადავიდა.⁹

„ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, „საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები და ამოცანები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, მეტიც, ეს ფუნქციები და ამოცანები მთელ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე კანონის-მიერი მიზნის მიღწევას ემსახურება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნული ფუნქციების, ამოცანებისა და მათი შესრულებისთვის პასუხისმგებელი სუბიექტების საერთო ორგანიზაციული და საერთო მართვის სისტემის ფარგლებში მოქცევა, რაც გაზრდის მათ ეფექტიანობას.“

რეალურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან დაზვერვის სამსახურის შეერთებით ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხი კიდევ უფრო უარესდება. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, *სადაზვერვო სამსახურების შიდა და საგარეო ფუნქციების შერწყმა ართულებს ზედამხედველობას და ზრდის ადამიანის უფლებების დარღვევის რისკს*. საქმიანობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, უწყებები ცალ-ცალკე უნდა ფუნქციონირებდეს. უსაფრთხოების სამსახურების ინიცირებული მოდელი კი მოქმედებს რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთსა და სხვა არადემოკრატიულ ქვეყნებში.

საინტერესოა სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსების დინამიკა.¹⁰ უწყების წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 2016-2025 წლებში 104 მილიონი ლარიდან 226 მილიონ ლარამდე¹¹ გაიზარდა. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 2022, 2023, 2024 და 2025 წლებში. საინტერესოა, რომ როგორც 2016 წელს, 2024 წელსაც უწყების მომუშავეთა რიცხოვნობა 3850-ითაა განსაზღვრული. შრომის ანაზღაურება კი 74-დან 138 მლნ-მდეა გაზრდილი. 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით,¹² საბიუჯეტო სახსრებით ეკონომიკის დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 340 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებაა 21 623 473,04 ლარი. საანგარიშო წელს გამოცხადდა 152 ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმდა 132 პრეტენდენტთან. წინა წლის ანგარიშის თანახმად კი, გაფორმდა 367 ხელშეკრულება, საერ-

⁹ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/389518>
¹⁰ ფაქტმეტრი, სუს-ის ბიუჯეტი გაორმაგდა და გასამმაგდა. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/7QwbP>
¹¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/6366063?publication=0>
¹² სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/page/info/reports>



თო ღირებულებით 27 467 384,08 ლარი. შესაბამისად, წინა წელთან შედარებით, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის გაწეული ხარჯები თითქმის 6 მილიონი ლარით არის შემცირებული. სუსის ინფრასტრუქტურული თუ მატერიალური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, შესაბამისად საზოგადოებისთვის რთულია დაფინანსების და ხარჯების ზრდის მიზნობრიობის შეფასება. იმ ვითარებაში, როდესაც საპარლამენტო ზედამხედველობაც ფაქტობრივად გაუქმებულია, ამჟამად სუსის დაფინანსების კონტროლის არცერთი დემოკრატიული მექანიზმი არ მუშაობს.

1.2 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დანიშვნის წესი და მნიშვნელობა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სუსის ხელმძღვანელის დანიშვნას რამდენიმე ეტაპიანი პროცედურა სჭირდება, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვს და ფორმალურად უწყების და მისი ხელმძღვანელის დამოუკიდებლობას ემსახურება.

სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ორი თვისა და არაუგვიანეს რვა კვირისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს სამსახურის უფროსის კანდიდატურას. საქართველოს მთავრობა სამსახურის უფროსის კანდიდატურას დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს,¹³ რომელიც სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ექვსი წლის ვადით ირჩევს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.¹⁴

ერთი შეხედვით, უწყების უფროსის დანიშვნაში რამდენიმე რგოლის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი) ჩართვა მისი დამოუკიდებლობის გაძლიერებას ემსახურება. ამასთან, უფროსის ექვსი წლით არჩევა, ფორმალური თვალსაზრისით, ასევე ხელმძღვანელის დამოუკიდებლობას ისახავს მიზნად (ექვსწლიანი ვადა არ ემთხვევა საკანონმდებლო ორგანოს წევრების ოთხი წლის ვადით არჩევის პერიოდს) - თავის მხრივ, პარლამენტს აქვს უფლებამოსილება, სუსის უფროსი გადააყენოს დაკავებული თანამდებობიდან. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის შემდეგ, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს,

¹³ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/HJ6mX>

¹⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 189.

იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/6494611?publication=3>



დასვას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, თუ ანგარიშის მოსმენისას გამოიკვეთა ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. ამასთან, აღნიშნულ საკითხს სჭირდება უმრავლესობის მხარდაჭერა.

1.2.1 კანონის პრაქტიკული აღსრულება

მიუხედავად იმისა, რომ ათი წლის განმავლობაში სუსის უფროსი მეოთხედ შეიცვალა, პარლამენტს აღნიშნული მექანიზმი არც ერთხელ არ გამოუყენებია და მათი ვადაზე ადრე გადადგომის საფუძველი პირადი განცხადებები გახდა. ამასთან, ათი წლის განმავლობაში სუსის უფროსის არჩევის არცერთი პროცედურა არ ყოფილა კონსენსუსზე დამყარებული, მსჯელობისა და განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. საგულისხმოა, რომ უწყება არცერთი ხელმძღვანელის პირობებში არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მთავარ ფუნქციას - ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

სუსის პირველი უფროსი **ვახტანგ გომელაური** იყო. ის აირჩიეს 2015 წელს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოყოფილი სუსი ახალი, დამოუკიდებელი უწყება გახდა. ის შსს-ს მინისტრის პოსტს იკავებდა და მისი კანდიდატურა ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა. ვახტანგ გომელაურს 83-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო - 0. დროის ამ პერიოდში განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი მოადგილის, სოსო გოგაშვილის¹⁵ (2015-2018 წლებში) განცხადება - მან თქვა, რომ უწყება მისი იქ მუშაობის დროსაც უკანონოდ უსმენდა მოქალაქეებს.¹⁶

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეორე ხელმძღვანელი **გრიგოლ ლილუაშვილი** 2019 წლის 17 ოქტომბერს 85 დეპუტატის მხარდაჭერით აირჩიეს. ამ შემთხვევაშიც, იგი არ აურჩევიათ კონსენსუსის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია ფართო მანდატის მქონე უწყების დამოუკიდებლობის ხარისხისთვის. მისი ხელმძღვანელობის დროს რეგიონში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა - 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ომი დაიწყო. მიუხედავად უწყების ვალდებულებისა, არ შეფასებულა საფრთხეები, არ მომხდარა საზო-

¹⁵ სოსო გოგაშვილს 2023 წლის 4 აპრილს 5 წლით თავისუფლების ადკვეთა მიუსაჯეს. მას ბრალი ედება სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ განმარტებაში; პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებასა და შენახვაში; მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელებაში მასობრივი მათუწყებლობის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნასა და შენახვაში.

¹⁶ რადიო თავისუფლება, 15.09.2021. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31461731.html>



გადოების ინფორმირება და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ შემუშავებულა შესაბამისი სტრატეგია.

2025 წლის 2 აპრილს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, გრიგოლ ლილუაშვილმა, საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტი უნდა ჩაებარებინა. სამინისტროს ორად გაყოფა სწორედ ამ ცვლილებას უკავშირდებოდა. თუმცა ირაკლი კობახიძესთან შეუთანხმებლობის შედეგად, ლილუაშვილმა აღნიშნული პოზიცია არ დაიკავა.

როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სუსის ხელმძღვანელის დანიშვნას რამდენიმეეტაპიანი პროცედურა სჭირდება, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ცვლილების შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ 2 აპრილს შეიტყო, ხოლო უკვე 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა სუსის უფროსად ერთხმად, 79 ხმით, **ანრი ოხანაშვილი** დაამტკიცა. ლილუაშვილის გადადგომისა და მის შემცვლელად პოლიტიკური ფიგურის, ანრი ოხანაშვილის დანიშვნის ფორმა და პროცესი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ სუსი არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი უწყება და ის სისტემურად ემსახურება მმართველი პარტიის ინტერესებს. ანრი ოხანაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში, განსაკუთრებით სკანდალურ საქმედ იქცა ბიზნესმენ გიორგი ბაჩიაშვილის ჯერ საქართველოში დაბრუნების, ხოლო შემდეგ მასზე ციხეში ძალადობის შემთხვევები, რომლებიც აქამდე გამოუძიებელია. გიორგი ბაჩიაშვილი საქართველოში თავისი ჩამოყვანის ორგანიზატორად ანრი ოხანაშვილს ასახელებს. შეგახსენებთ, რომ ბაჩიაშვილი ფინანსური დანაშაულის საქმეზეა გასამართლებული. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაძლო მონაწილეობა ამ შემთხვევაში კი აჩვენებს, რომ სუსი კანონმდებლობით დადგენილ საკუთარ მანდატს სრულად აცდენილია და მხოლოდ „ქართული ოცნების“ და მისი დამფუძნებლის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული.

ანრი ოხანაშვილმა დაკავებული თანამდებობა არასრული 5-თვიანი მუშაობის შემდეგ, 23 აგვისტოს მოულოდნელად დატოვა. საზოგადოებისთვის ფარული დარჩა გარემოებები, რომლებმაც მისი თანამდებობიდან წასვლა განაპირობა. ოხანაშვილის შემცვლელი მამუკა მდინარაძეც საზოგადოებას ყოველგვარი დემოკრატიული განხილვის გარეშე წარუდგინეს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ერთპარტიულ პარლამენტში სამსახურის ახალი უფროსის კანდიდატურაზე მსჯელობამ კრიტიკული კითხვებისა და დებატების გა-



რეშე ჩაიარა და 85 ხმით, მდინარაძე სუსის უფროსად დაინიშნა.¹⁷ ირაკლი კობახიძის განცხადებების თანახმად, ანალიტიკური მიმართულებით მუშაობას ანრი ოხანაშვილი მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოზიციიდან გააგრძელებს, ხოლო სუსი კვლავ გამოძიებაზე იქნება ორიენტირებული. ამან შესაძლოა შექმნას ანალიტიკური ფუნქციის დუბლირების საფრთხე და კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა გამოიწვიოს. ამ ეტაპზე ბუნდოვანია, როგორ განაწილდება პასუხისმგებლობები უსაფრთხოების მრჩეველსა და სუსის უფროსს შორის, რადგან უწყების მანდატის ფორმალურ ცვლილებაზე ხელისუფლებას განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელად „ქართულმა ოცნებამ“ შეარჩია პოლიტიკოსი, რომელიც არის მისი გუნდის ერთ-ერთი მთავარი სპიკერი და ხშირად გამოირჩევა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ რადიკალური, ანტიევროპული, მტრული რიტორიკითა და საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღვივების მცდელობით.

სუსი 2015 წელს ფორმალურად შეიქმნა, როგორც ანალიტიკური მიმართულების უწყება, თუმცა მალევე გადაეცა საგამოძიებო ფუნქციებიც. შედეგად, სამსახური გადაიქცა ფართო მანდატების მქონე დახურულ სტრუქტურად. სუსს აქვს უფლებამოსილება, გამოიძიოს არა მარტო სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, არამედ სხვადასხვა სახის სამოხელეო დანაშაულები — მათ შორის გაუფრთხილებლობით ჩადენილი შემთხვევებიც. მანდატების ამგვარად გაფართოება მის კომპეტენციას არ შეესაბამება და უწყებას აბსოლუტურად არაპროპორციულ გავლენას და ძალაუფლებას ანიჭებს.

სუსის უფროსების თანამდებობიდან ვადაზე ადრე წასვლის და დანიშვნის პროცედურები, - მათი შემცვლელების შერჩევის სწრაფი და არადემოკრატიული პროცესი, - კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ეს უწყება ჩაკეტილი და უკიდურესად პოლიტიზებულია. მსგავსი პროცესები კი საზოგადოების ნდობას კიდევ უფრო ამცირებს.

¹⁷ მამუკა მდინარაძე სუს-ის უფროსის თანამდებობაზე აირჩიეს, 03.09.2025.
ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/847663-mamuka-mdinaraze-sus-is-uproshis-tanamdebobaze-airchies>



2. ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის შეფასება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მანდატში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 2015 წლიდანვე მოექცა. ამ გადაწყვეტილებით თითქოს კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად გამოცხადდა. კორუფციის გამოძიების სუსის მანდატის ქვეშ მოქცევა მალევე გააკრიტიკა¹⁸ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) ანტიკორუფციულმა ქსელმა, ვინაიდან საგამოძიებო ფუნქციის გადაცემა უსაფრთხოების სამსახურისთვის არასასურველ პრაქტიკად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველომ დატოვა OECD-ის ანტიკორუფციული ქსელი და პირველად 20 წლის განმავლობაში,¹⁹ უარი თქვა მისი ეგიდით ჩასატარებელ მონიტორინგის პროცესში მონაწილეობაზე. კრიტიკის მიუხედავად, სუსი დღემდე იძიებს ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ბრალდებულის უკანონო გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, სამსახურებრივი სიყალბე და სამსახურებრივი გულგრილობა. წლების განმავლობაში სუსს არ გამოუძიებია მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები, ისეთი საქმეები, რომლებშიც ბრალდებულები მაღალი თანამდებობის პირები იქნებოდნენ. ასეთ ვითარებაში, წვრილმან კორუფციულ დანაშაულებზე სუსის რესურსების ხარჯვა, არაგონივრულად ფასდება.²⁰

მაღალი დონის კორუფციის გამოძიების შემთხვევები მომრავლდა 2025 წელს, როდესაც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები²¹ და ეკო-

¹⁸ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, 18.03.2022.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/933/>

¹⁹ civil.ge, OECD და ადგილობრივი არასამთავრობოები საქართველოს OECD-ს პროცესში დაბრუნებისკენ მოუწოდებენ. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/587755>

²⁰ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება, 24.06.2025.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1652/>

²¹ რადიო თავისუფლება, დააკავეს ექს-მინისტრ ბურჭულაძის მოადგილე და ნათესავი - 1.3 მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/uN39p>



ზანი ესპანეთში გადასარიცხი თანხის წარმომავლობის შენიღბვა იყო. საინტერესოა, რომ შემოსავლების ლეგალიზაციის ეს სქემა, რომელიც სუსის თქმით, მიქაუტაძემ გამოიყენა, ფაქტობრივად იდენტურია ბურჭულაძის მიერ გამოყენებული სქემისა, რომლითაც, გამოძიების მტკიცებით, საქართველოში არსებული ქონების ფიქციური გასხვისებით, სახლი ასევე ესპანეთში შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ ესპანეთში შეძენილ სახლსა და მიქაუტაძის სავარაუდო კორუფციულ გარიგებაზე, მის დაკავებამდე წელიწადზე მეტი ხნით ადრე ჟურნალისტური გამოძიება²⁷ გამოქვეყნდა, თუმცა სამართალდამცავები მაშინ ამ ინფორმაციით არ დაინტერესებულან და საჯაროდ გავრცელებულ შესაძლო კორუფციულ ფაქტებზე მათი რეაგირების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა.

ანტიკორუფციულმა სააგენტომ კორუფციული დანაშაულის ბრალდებით დააკავა არა მხოლოდ “ქართული ოცნების” მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნები, არამედ ოპოზიციური პარტიის, “ნაციონალური მოძრაობის” წევრიც. კერძოდ, ანტიკორუფციული სააგენტოს განმარტებით, ლევან ხაბეიშვილი დააკავეს “ქრთამის შეთავაზების” ბრალდებით - იმის გამო, რომ შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს 200 000 ლარს საჯაროდ ჰპირდებოდა აქციების დარბევაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში.²⁸ პოლიტიკოსის საჯარო განცხადებას კონკრეტული აღრესატი არ ჰყოლია, არ ყოფილა კონკრეტული მოლაპარაკება “ქრთამის მიმცემსა” და “ქრთამის მიმღებს” შორის და ეთერში გაკეთებული ზეპირი განცხადების გარდა, გამოძიებას არაფერი წარმოუდგენია. შესაბამისად, ამ საქმეზე სისხლის სამართლის ბრალდების წაყენება აბსურდულია და პოლიტიკური დევნის ნიშნებს ატარებს.

მოგვიანებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და თბილისის საკრებულოს დეპუტატი ზვიად კუპრავა დააკავა.²⁹ დაკავების საფუძვლად დასახელდა ვიდეომიმართვა, რომელიც კუპრავამ 30 სექტემბერს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გამოძიება მას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისაკენ საჯარო მოწოდებაში ადანაშაულებს. უწყება განცხადებაში ძირით-

²⁷ სტუდია მონიტორი, ოცნების ჩინოვნიკის ევროპული ცხოვრება. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=n71fQAHuac8>
²⁸ რადიო თავისუფლება, სუსმა ხაბეიშვილის და ბურჭულაძის დაკავებაზე ერთ ბრიფინგზე გაავრცელა ინფორმაცია. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33527838.html>
²⁹ რადიო თავისუფლება, ვიდეომიმართვის გამო სუსმა ზვიად კუპრავა დააკავა. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33545996.html>



ად არგუმენტად ასახელებს კუპრავას ვიდეოში გავრცელებულ ნარატივს. კერძოდ, იმას, რომ „რუსულ სპეცოპერაციად“ მოიხსენა არჩევნები, „სპეცოპერაციის პუნქტად“ კი - საარჩევნო უბანი.

წლების განმავლობაში პასიური ანტიკორუფციული სააგენტოს მხრიდან ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების რამდენიმე დაკავება დროის ხანმოკლე პერიოდში, მმართველი პარტიის შიგნით პოლიტიკური დაპირისპირებების გამოვლინებად უფრო შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე კორუფციასთან ბრძოლის ახალ, გააქტიურებულ ეტაპად.

გარდა გამოძიებისა, 2024 წლის ანგარიშის თანახმად,³⁰ დიდი ყურადღება ეთმობა კორუფციის პრევენციას, რისთვისაც ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და საჯარო მოხელეებთან. პრევენციული სამუშაოების წარმატების დასტურად მოყვანილია მამხილებლების მიერ გამოგზავნილი შეტყობინებების რიცხვის ზრდა. 2024 წელს მიღებული შეტყობინებების რაოდენობა ანგარიშში დაზუსტებული არ არის, 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით კი, კორუფციულ შემთხვევებთან დაკავშირებით უწყებაში მოქალაქეთა მხრიდან 47 შეტყობინება იყო შესული. სუსის ახალ თავმჯდომარედ არჩეულმა მამუკა მდინარაძემ³¹ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ კორუფციის აღმოფხვრა დაასახელა.

³⁰ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/page/info/reports>

³¹ რუსთავი 2. მამუკა მდინარაძე: კორუფცია იქნება ისეთ დაბალ ნიშნულზე ამ ქვეყანაში, რომ ჩვენ მსოფლიოში ვიქნებით სამეულში. ეს ერთ თვეში და ორ თვეში ვერ მოხდება, მაგრამ ქართველი ხალხი დაინახავს დინამიკას, როგორ ხდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/319993>



3. სუსის მანდატის გადაჭარბება და რესურსების არარაციონალური ხარჯვა

შექმნიდან დღემდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდ ლარზე მეტის დაფინანსება მიიღო და მიუხედავად მისი მთავარი მიზნისა - ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, - უწყების რესურსი არსებობიდან დღემდე არარაციონალურად იხარჯება.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დაკვირვებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წლების განმავლობაში იძიებს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც თავისი არსით, მის სამუშაო მიმართულებაში არ ჯდება და რომლებსაც არანაირი შეხება არ აქვთ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ეს კი სამსახურის საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების არარაციონალურად ხარჯვაა. მაგალითად, სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 მარტამდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოიძიება დაიწყო ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა განზრახ მკვლელობის მომზადება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, თაღლითობა. ყველა აღნიშნული დანაშაული საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება და გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოიძიოს. თუმცა ეს დანაშაულები, რომელთაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან, სუსმა გამოიძია.³²

დოკუმენტზე მუშაობისას, იმავე შინაარსის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ორგანიზაციამ კვლავ მიმართა სუსს, დროის განახლებულ პერიოდზე მითითებით.³³ კერძოდ, გვინტერესებდა, რომელი მუხლებით დაიწყო უწყებამ გამოძიება დროის კონკრეტულ პერიოდში და რა საქმეები გადმოიგზავნა/გადაიგზავნა ქვემდებარეობის წესით უწყებაში/უწყებიდან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 7 მაისის წერილით (SSG 2 25 00100566), ორგანიზაციას უარი ეთქვა გამოთხოვილი ინფორმაციის მო-

³² დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საბიუჯეტო და ადამიანურ რესურსებს არარაციონალურად ხარჯავს, 10.06.2024.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1484/>

³³ 17 აპრილის წერილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, №PS/2025/5



წოდებაზე. ამის საფუძვლად წერილში დასახელებულია ის, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმატში ორგანიზაცია ითხოვს ინფორმაციის დამუშავებას, ანალიზსა და შედეგად საინფორმაციო ხასიათის ისეთი ახალი დოკუმენტის (მონაცემთა ისეთი ახალი ერთობლიობის) შექმნასა და მიწოდებას, რომელიც ეხება სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

ორგანიზაციამ უწყების პასუხი სასამართლოში გაასაჩივრა და სხვა გარემოებებთან ერთად მიუთითა, რომ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ სამსახურს გასულ წელსაც მიმართა ანალოგიური შინაარსის წერილით.³⁴ უწყებამ 22 მარტს ორგანიზაციას სრულად გამოუგზავნა³⁵ პასუხი, რომელსაც გასაჩივრებული აქტის ანალოგიურად ხელს აწერს სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნანა ბერიძე. შესაბამისად, უწყებაში აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია არსებობს, იგი მოთხოვნის გარეშეც აწარმოებს ამ ტიპის სტატისტიკას და მოთხოვნილი პასუხის შესაბამისად გაერთიანებაა მხოლოდ საჭირო.

საგულისხმოა, რომ ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციაზე სრული პასუხი მიიღო გრიგოლ ლილუაშვილის ხელმძღვანელობის დროს, ანრი ოხანაშვილმა კი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა.

გარდა სხვა საგამოძიებო უწყების ქვემდებარე საქმეებისა (განზრახ მკვლელობის მომზადება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, თაღლითობა), უწყების რესურსი იხარჯება წლების განმავლობაში დაწყებულ და დაუსრულებელ გამოძიებებზე. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიება 10-მდე შემთხვევაში დაიწყო.³⁶ ხმაურიანი ბრიფინგებით დაწყებული გამოძიებების საბოლოო შედეგი არცერთ შემთხვევაში არაა საზოგადოებისთვის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გამოძიებები (მაგ. ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების საქმე, „რევოლუციური სცენარი“ 2023, „რევოლუციური სცენარი“ 2024 და ასე შემდეგ) ვახტანგ გომელაურისა და გრიგოლ ლილუაშვილის ხელმძღვანელობის დროს აქტიურად მიმდინარეობდა.

³⁴ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილი, N DRI/2024/10
³⁵ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი, SSG 9 24 00065447
³⁶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები და პრაქტიკული ხარვეზები, 2024.
 ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ixxQb>



4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი და მისი მნიშვნელობა

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონი სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის ასახელებს კანონიერებას, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, თანაზომიერებასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებით მოქმედება ზღვარს უნდა უწყებდეს სამსახურის თვითნებობას და მის საქმიანობას აქცევდეს კანონიერ, საზოგადოებისთვის უსაფრთხო ჩარჩოში. ზედამხედველობის მექანიზმების ერთ-ერთ ფუნქცია კი სწორედ იმის შემოწმებაა, რამდენად შესაბამისობაშია სუსის საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებთან. კანონმდებლობა სუსის ზედამხედველობის ფუნქციას არაერთ უწყებას აკისრებს. ვინაიდან უწყება უშუალოდ მთავრობის დაქვემდებარებაშია, ბუნებრივია, იგი ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და აქ სამსახურებრივი სუბორდინაციის და ანგარიშვალდებულების წესი მოქმედებს.

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენს სუსზე საპარლამენტო ზედამხედველობის წესებს. საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ *პარლამენტის წევრის კითხვა, ნდობის ჯგუფის ფორმატი, (საგამოძიებო) კომისიები, ინტერპელაცია, სამსახურის უფროსის პლენარულ სხდომაზე დაბარება, კომიტეტის სხდომაზე დაბარება და ასევე სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშის მოსმენა*. კანონმდებლობა პარლამენტს და მის ცალკეულ წევრს ზედამხედველობის განსახორციელებლად არაერთ უფლებამოსილებას ანიჭებს, მაგრამ ამ ბერკეტების გამოყენებისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება და უწყების საქმიანობის მიმართ პარლამენტის წევრების დაინტერესება.

საპარლამენტო ზედამხედველობა სუსის მიმართ გასული წლების განმავლობაშიც სუსტი და ხარვეზიანი იყო.³⁷ პირველ რიგში იმის გამო, რომ მმართველი პარტია უარს ამბობდა, გამოეყენებინა ზედამხედველობის მექანიზმები და ზოგ შემთხვევაში ოპოზიციონერი დეპუტატების მცდელობებსაც პროცედურულ დაბრკოლებებს უქმნიდა. სამწუხაროდ, არც ოპო-

³⁷ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი არა-ეფექტიანია, 29.02.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1404/>



ზიციონერი დეპუტატების უმრავლესობის მხრიდან არ ყოფილა განსაკუთრებული ინტერესი უსაფრთხოების სექტორის მიმართ. მას შემდეგ, რაც 2024 წლის არჩევნების შემდეგ ერთპარტიული პარლამენტი შედგა, საპარლამენტო ზედამხედველობა ანულირებულია. პარლამენტის წევრების ისედაც არცთუ დიდი რაოდენობით გაგზავნილი კითხვები, მიმდინარე მოწვევის პარლამენტში სრულიად გამოუყენებელია.

რეალურად, წერილობითი კითხვის გარდა, უწყების მისამართით პრაქტიკულად არცერთი მექანიზმი არაა გამოყენებული - შექმნიდან დღემდე, სუსის უფროსი არ დაუბარებიათ ინტერპელაციის წესით კომიტეტის სხდომაზე, პლენარულ სხდომაზე, არ შექმნილა დროებითი საგამოძიებო კომისია სუსის საქმიანობასთან დაკავშირებით, წლიური ანგარიშების განხილვა კი ძირითადად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.³⁸ ხშირ შემთხვევაში, მექანიზმის გამოყენებას „ქართული ოცნების“ წევრებმა შეუშალეს ხელი. მაგალითად, მათე მოწვევის პარლამენტის ოპოზიციური წევრების ინფორმაციით, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე ვერ მოხერხდა სუსის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის, დაბარება, რადგან „ქართული ოცნების“ წევრებმა ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს.

ერთადერთი მექანიზმი, რომელიც პარლამენტის წევრების მიერ უწყებასთან მიმართებით გამოიყენებოდა, წერილობითი კითხვებია. წლების განმავლობაში, წერილობითი კითხვების რაოდენობა მეტ-ნაკლებად მზარდი იყო: 2015 წ. – 2, 2016 წ. – 1, 2017 წ. – 2, 2018 წ. – 1, 2019 წ. – 2, 2020 წ. – 1, 2021 წ. – 11, 2022 წ. – 29, 2023 წ. – 17, 2024 წელს კი 3 წერილობითი კითხვა გაიგზავნა.³⁹


2025 წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, სუსისთვის არცერთ დეპუტატს არ გაუგზავნია წერილობითი კითხვა. ამას, რა თქმა უნდა, შესაბამისი ფაქტორი განაპირობებს. როგორც წესი, კონტროლის მექანიზმები ოპოზიციის ხელშია მნიშვნელოვანი ბერკეტი. ამ შემთხვევაშიც, წლების განმავლობაში სუსს კითხვებს ოპოზიციონერი დეპუტატები უსვამდნენ.⁴⁰ იშვიათ, გამონაკლის შემთხვევაში კითხვის ავტორი „ქართული ოცნების“

³⁸ იქვე.
³⁹ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.
 ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/supervision/deputy-question>
⁴⁰ მაგალითად, იხ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ანგარიში: უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები.
 ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1281/>



დეპუტატიც იყო. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მასშტაბური გაყალბების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ ერთი პარტიის - „ქართული ოცნების“ - წევრებით დაკომპლექტდა, შესაბამისად, ერთპარტიული პარლამენტი, რომლის ლეგიტიმაცია არ არის აღიარებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, კონტროლის მექანიზმებს არ იყენებს.

სუსისთვის გაგზავნილი წერილობითი კითხვების რაოდენობა



პ
ო
ლი
ტი
კ
უ
რი

ბ
ა
ს
ი
ა
ნ
ა
ბ
ი

ღ

ე
ნ
ბ
ა
რ
ი
შ
ა
ნ
ი
ა
ნ
ა
ნ
ა
ნ
ს

ე
კ
ი
ს
ი
თ
ი



5. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება

2 აპრილს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საკუთარი ნებ-ით დატოვა დაკავებული თანამდებობა. 4 აპრილს კი „ქართულმა ოცნებ-ამ“ სუსის უფროსად, 79 ხმით 0-ის წინააღმდეგ, ანრი ოხანაშვილი აირჩია.⁴¹ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარ-იში სწორედ ანრი ოხანაშვილის ხელმძღვანელობის დროს გამოქვეყნდა.

წინა წლების მსგავსად, აღნიშნულ ანგარიშში მოცემული უკიდურესად მწირი, კონკრეტიკისგან დაცლილი ინფორმაცია საზოგადოებას უწყების საქმიანობაზე რეალურ წარმოდგენას ვერ შეუქმნის. ამასთან, კვლავ უც-ნობია, რა კონკრეტული საფრთხეების იდენტიფიცირება მოხდა, რა ქმედებები განახორციელა სამსახურმა და რამდენად ეფექტიანი იყო მისი მოქმედება. ანგარიშის სტრუქტურა, ფაქტობრივად, წინა წლების ან-გარიშების მსგავსია და მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს, დეზინფორ-მაციას და ჰიბრიდულ ომს, კიბერუსაფრთხოებას, ტერორიზმს, კორუფ-ციასთან ბრძოლას, საერთაშორისო თანამშრომლობას, სასამართლოებ-თან ურთიერთობასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხებს. ამასთან, მასში მოცემულია მშრალი ფაქტობრივი გარემოებები და სტატისტიკური მონაცემები. დოკუმენტში გაანალიზებული და შეფას-ებული არ არის ინფორმაცია სახელმწიფოს უსაფრთხოების წინაშე არსებ-ულ რეალურ გამოწვევებსა და უწყების მხრიდან გატარებულ ღონის-ძიებებზე.

თუმცა სუსის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში წინა წლების ანგარიშებ-ისგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება:

წინა ანგარიშებში, ცხადი და კონკრეტული მინიშნებები არ კეთდებოდა იმ „უცხო სახელმწიფოებზე“ და „უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებზე“, რომლებიც, სუსის შეფასებით, დესტაბილიზაციის მცდელობას, დეზინ-ფორმაციას თუ სხვა სახის საფრთხის მომტან ქმედებებს ახორციელებ-დნენ საქართველოში. ძველი ანგარიშების ზოგადი ჩანაწერებისგან გან-სხვავებით, 2024 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ **დასავლური ქვეყნების და ინსტიტუტების წარმომადგენლები ჩართული იყვნენ დე-ზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ საინფორმაციო კამპანიებში.**⁴²

⁴¹ რადიო თავისუფლება, 04.04.2025. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33373551.html>
⁴² სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2024 წელი, გვ. 3.



შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც აღჭურვილია მანდატით, ფინანსური, ადამიანური რესურსით და ვალდებულია დაიცვას ქვეყნის უსაფრთხოება, საფრთხის მთავარ წყაროდ ასახელებს არა რუსეთს, არამედ დასავლეთს, რუსეთზე (წინა წლების მსგავსად) კი მხოლოდ ოკუპაციის თავში საუბრობს.

ამასთან, ქვეყნის წინაშე უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების ანალიზის/შეფასების ნაცვლად, ანგარიშში კონტექსტის გარეშე, აბსტრაქტულადაა ლაპარაკი „ტრადიციულ ღირებულებებზე“, რასაც სამსახურის საქმიანობასთან კავშირი არ აქვს.

შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში კიდევ უფრო მეტად აღიქმება პოლიტიკური პარტიის გზავნილად. *დოკუმენტში მოცემული გზავნილები, პირდაპირ თანხვედრამია „ქართული ოცნების“ ნარატივთან,⁴³ რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს უწყების პარტიულ დამოკიდებულებას.*

ოკუპირებული ტერიტორიები

სუსის შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული საფრთხეები უკავშირდება რუსულ ანექსიას, ბორდერიზაციას, ჰიბრიდულ ომს, საქართველოს ხელისუფლებაზე საერთაშორისო ზეწოლის მცდელობებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებს, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას და ეთნიკური ქართველების კულტურული ასიმილაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ვითარების მიმოხილვისას, სუსი ასახელებს რუსეთის ხელისუფლების მიერ ანექსიისკენ მიმართულ ორგანიზებულ ქმედებებს: *აპარტამენტების და ინვესტიციების შესახებ ინიციატივებს, აფხაზური სამართალდამცავი და საბაჟო სისტემების რუსეთის ფედერაციის უწყებებთან ინტეგრირების მცდელობებს, მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სოხუმის აეროპორტის თუ ოჩამჩირის პორტის სახით.* აღსანიშნავია, რომ ამ მცდელობების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი საზოგადოების წინააღმდეგობის შედეგად შეჩერდა. სუსი ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქციებს ანტირუსულ გამოსვლებად აფასებს, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური შეზღუდვების გამო, ამ პროტესტის რიტორიკა და მოთხოვნები ღიად ანტირუსული არ ყოფილა და

ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/legislation/30665>

⁴³ ამასთან, 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ე.წ გამჭვირვალობის კანონი, მიმდინარე წელს კი ე.წ. ამერიკის FARA, რომლის აღსრულებაც არადემოკრატიული ქვეყნებისთვის დამანახსიათებელი სტილით იგეგმება - ერთი მხრივ, მიმართულია გამოსხატვის უფლებისა და მეორე მხრივ, დასავლელი ქვეყნების წინააღმდეგ.



რუსი ოლიგარქების წინააღმდეგ გამოსვლებად პოზიციონირებდა.⁴⁴ როგორც ანგარიშიდან ირკვევა, აფხაზეთში ანექსიური პროცესები ამჟამად შეჩერებულია მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების ძალისხმევით. ამავდროულად, აფხაზეთში ანტირუსული განწყობების ზრდის ფონზე, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთთან დაახლოებისთვის ეფექტური ნაბიჯები კვლავ ვერ იღებება.

ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთი წინააღმდეგობის გასატეხად რუსეთმა შემოქმედების არაერთ ბერკეტს მიმართა, პირველ რიგში, ეკონომიკური ხასიათისას და ასევე ცდილობს ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებას, პროტესტის მონაწილეების დისკრედიტაციას. *ოფიციალური თბილისის უმოქმედობის და რუსეთისგან უფრო და უფრო გაზრდილი წნეხის პირობებში, ბუნდოვანია, რამდენად ხანგრძლივად შეძლებს აფხაზეთი საზოგადოება ანექსიისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამ პროცესების შესაძლო განვითარების ანალიზს არც მოცემული ანგარიში არ გვთავაზობს.*

ანგარიშში საუბარია ასევე ცხინვალში არსებულ რამდენიმე პრობლემურ საკითხზე: გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაზე, განგრძობად ეკონომიკურ ექსპანსიაზე, „საბაჟო ორგანოების ინტეგრაციაზე“ რუსეთის ფედერაციის სისტემაში. აფხაზეთის მსგავსად, რუსეთის ფედერაციამ აქაც ადგილობრივი მმართველი პარტიის მხარდამჭერი პოზიცია დაიკავა და ორ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვა.⁴⁵ *თუმცა ანგარიში არაფერს გვეუბნება იმაზე, რამდენად მძლავრია ანტირუსული განწყობები ცხინვალის რეგიონში.*

2023 წლის ანგარიშის მსგავსად, 2024 წლის ანგარიშშიც დასახელებულია ბორდერიზაციის ფაქტების რაოდენობა, თუმცა რა ფართობის ტერიტორია მოექცა 2024 წელს ბორდერიზაციის ფარგლებში, დაზუსტებული არ არის.

სუსი დადებითად აფასებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და მისიის საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებთან კავშირში, განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზთან დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლების თუ მოკლული საქართველოს მოქალაქეების საქმეებზე გამოძიების კუთხით. ანგარიშის მიხედვით, ამ ორ თემაზე ქართული მხარე მუდმივად იყენებს საერთაშორისო მექანიზმებს, თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის ფაქტობრივი კონტროლის გამო, საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის საქმეებზე სამართლის აღსრულება ვერ ხერხდება. სუსი ნიშანდობლივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აშშ-მ სანქციები დაუწესა ოკუპირებული ცხინვალის ტერიტორიაზე მოქმედ ერთ-ერთ ბანკს,

⁴⁴ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2024 წელი, გვ. 8. ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/legislation/30665>

⁴⁵ იქვე. გვ. 13



რომელიც რუსეთს და ჩრდილოეთ კორეას შორის უკანონო ფინანსურ ტრანზაქციებში მონაწილეობდა.

ანგარიშის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება ფაქტობრივად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა ამ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების ან კავშირების დამყარების კუთხით, ადამიანის უფლებათა დაცვის ან თუნდაც ადგილზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციისგან ეფექტიანი დაცვის ან საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის საქმეებზე პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით.

სუსის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის აღნიშნული თავი (წინა ანგარიშების მსგავსად) ყველაზე ინფორმაციულია, თუმცა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს შეიცავს.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

კონტრდაზვერვითი საქმიანობა სუსის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კონტრდაზვერვის თავში, საიღუმლოების წესების დაცვით, გაანალიზებული უნდა იყოს რეალურად იდენტიფიცირებული საქმეები, რომლებიც გამყარებული იქნება კონკრეტული ფაქტებით და არა ბუნდოვანი და პოლიტიკური ბრალდებებით. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იცავს უწყება სახელმწიფო უსაფრთხოებას, დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვით. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ თავში რუსეთი, როგორც საფრთხის წყარო, ნახსენები არ არის.

2023 წლის ანგარიშის მსგავსად, 2024 წლის დოკუმენტის ეს თავი გამოყენებულია პოლიტიკურ გზავნილად, კონკრეტული პარტიული ინტერესებისთვის. საფრთხეებზე საუბრის კონტექსტში, დიდი ყურადღება ეთმობა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესებს. თუმცა ნახსენები არ არის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების არცერთი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება. ამასთან, საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარების გამო, მისი ლეგიტიმაცია ამ დრომდე არ არის აღიარებული მნიშვნელოვანი დასავლელი პარტნიორების მიერ.

სუსის ანგარიში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ უწყებას ხელთ აქვს გარკვეული ჯგუფის მიერ დაგეგმილი დესტაბილიზაციის დეტალური გეგმა, რომელიც, ანგარიშის თანახმად, მოიცავდა სხვადასხვა ობიექტის ბლოკ-



ირებას, სამართალდამცავებთან პროვოცირების ნიადაგზე დაპირისპირებას, მსხვერპლს და ა.შ. ასეთი დესტაბილიზაციის გეგმით მოქმედების ფარგლებში ნახსენები არიან სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები, ასევე ახალგაზრდული ორგანიზაციები.⁴⁶ ჩნდება განცდა, რომ უწყება ამ კონტექსტში საუბრობს 2024 წელს მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებზე, რომელთაც ბრალად ედებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა. თუმცა ამ დრომდე არ არსებობს ხელჩასაჭიდი მტკიცებულება, რომელიც, მათ შორის, მათ წინასწარ პატიმრობას გაამართლებდა. ნაცვლად კონკრეტული გარემოებებისა, ანგარიშში მოყვანილია ზოგადი ფრაზები სამართალდამცველებთან შეტაკების, „მოლოტოვის კოქტეილების“, შენობების ბლოკირების თუ მსგავს შეთქმულების თეორიაზე, რაც კვლავ უწყების მიკერძოებაზე მიუთითებს.

საინტერესოა ანგარიშის ერთი კონკრეტული მონაკვეთი, რომლის მიხედვით, სუსის მტკიცებით, ქართულ პოლიტიკურ სუბიექტს კავშირი აქვს უცხო ქვეყნის პოლიტიკურ სუბიექტებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებშიც მონაწილეობს.⁴⁷ იქიდან გამომდინარე, რომ სუსი დასავლურ ქვეყნებს და ორგანიზაციებს დიად აღანაშაულებს დეზინფორმაციის წარმოებაში, შესაძლოა, ეს პარტია სწორედ ამის გამოა მიჩნეული, მათი მტკიცებით, „საქართველოს უსაფრთხოებისთვის სახიფათო პოლიტიკურ სუბიექტად“.

2024 წელს პირველად მოხდა, რომ სუსმა დასავლეთის ქვეყნები და ორგანიზაციები დაადანაშაულა დეზინფორმაციის წარმოებაში. წინა წლებში იგი „უცხო ქვეყნებს“ დეზინფორმაციის კონტექსტში ახსენებდა, უფრო მეტი დაკონკრეტების გარეშე. თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, „ქართული ოცნება“ რიტორიკაში უფრო და უფრო ხშირად იყენებდა ანტიდასავლურ გზავნილებს. პარტიის მიერ კონტროლირებულ მედიაში იმატა ანტიდასავლურმა სიუჟეტებმა - დასავლეთის, როგორც გარყვნილების, „ტრადიციული ღირებულებებისგან“ შორს მდგომი ცივილიზაციის კრიტიკამ. ანტიდასავლური პოლიტიკური რიტორიკა აისახა კანონმდებლობაშიც. უცხოეთის „აგენტებთან“ საბრძოლველად „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, ხოლო შემდეგ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ მიიღო. ორივე შემთხვევაში კანონის მიზანს წარმოადგენდა დასავლური ფონებიდან დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების „აგენტებად“ გამოცხადება, დამინება, ფსიქოლოგიური ზეწოლა. ამ საკანონმდებლო ცვლილებებს დაემატა „გრანტების შესახებ“ კანონის

⁴⁶ civil.ge, 20.05.2025. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/667009>

⁴⁷ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2024 წელი, გვ. 23. ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/legislation/30665>



ახალი დანაწესი, რომლითაც დონორი ორგანიზაციები ვალდებული გახდნენ, გრანტის გაცემამდე წინასწარი ნებართვის სათხოვნელად მიმართონ მთავრობას. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა შედეგად შესაძლოა გამოიწვიოს დასავლეთიდან სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების სრული აკრძალვა, სამოქალაქო ორგანიზაციების ლიკვიდაცია, მათი ხელმძღვანელების და თანამშრომლების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. 2024 წელს ამ პოლიტიკურ კონტექსტში ექცევა სუსის მიერ დასავლეთის ქვეყნების და ორგანიზაციების დადანაშაულება დეზინფორმაციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუსი ჩართულია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ პროპაგანდაში და ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, პოლიტიკურ ბრალდებებს აჟღერებს დასავლეთის ქვეყნების მიმართ.

სუსის ანგარიშის თანახმად, 2024 წელს იყო რელიგიური ნიშნით პოლიტიკური სუბიექტის შექმნის მცდელობა. დაფიქსირდა ასევე ანტიქართული პროპაგანდის მცდელობაც ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში. ანგარიშის მიხედვით, უწყებამ გადადგა ნაბიჯები ამ ქმედებების აღსაკვეთად.⁴⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით სამსახური მეტ ინფორმაციას არ გვაწვდის. მსგავსი ბუნდოვანი ჩანაწერები კი, კონკრეტიკისა და უწყების მხრიდან გატარებული ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გარეშე, საზოგადოებაში უფრო მეტ დაბნეულობას იწვევს.

სუსის თანახმად, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები საქართველოში გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ბინადრობის უფლების მოპოვების გზებითაც. ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დიდი არ არის იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ. სუსის მტკიცებით, ყოველ ასეთ შემთხვევაში სრულადაა დაცული საქართველოს კანონმდებლობა. თუმცა მიგრაციის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები წლების განმავლობაში აღნიშნავენ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის დაბლოკვა სუსის მიერ, ხშირ შემთხვევაში, სრულიად დაუსაბუთებელია.⁴⁹ საქართველოს ტერიტორია ასევე დაატოვებინეს უცხო ქვეყნის ისეთ მოქალაქეებსაც, რომლებიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ, ზოგი მათგანი მრავალი წელია საქართველოში ცხოვრობს ოჯახთან ერთად.⁵⁰

საქართველოში შემოსვლა პრობლემაა რუსეთის ხელისუფლების დიად გამკრიტიკებელი ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტებისთვის. ყველა ამ საჯარო ფაქტის გათვალისწინებით, *დამაჯერებელია ვივარაუდ-*

⁴⁸ იქვე.
⁴⁹ DRI, თავმესაფრის მაძიებლები და სახელმწიფო უსაფრთხოება საქართველოში, 2020. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dX8HQ>
⁵⁰ RSF საქართველოში ფრანგი ჟურნალისტების არშემოშვებას დაშინების მიზანმიმართულ სტრატეგიად აფასებს, 11.04.2025. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/675351>



ოთ, რომ ხშირ შემთხვევებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიებზე შემოსვლა, მათთვის ბინადრობის უფლების მინიჭება, სუსის მიერ იბლოკება არა უსაფრთხოების ობიექტური რისკების გამო, არამედ „ქართული ოცნების“ მიმართ ამ პირების დამოკიდებულების შესაბამისად, რაც არ წარმოადგენს ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის ან ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევების კანონიერ საფუძველს.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის თავში ცალკე გამოწვევად არის მოყვანილი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს მოსახლეობის ახალგაზრდულ სეგმენტზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები, მათთვის „ღირებულებების აღრევა“. ეს პასაჟიც იდეოლოგიურ შეფასებას წარმოადგენს და ბუნდოვანია, კონკრეტულად რომელი „ღირებულების“ აღრევას ცდილობენ უცხო ქვეყნები და რა საფრთხეს უქმნის ეს საკითხი ქვეყნის უსაფრთხოებას.

ხელოვნური ინტელექტი

ანგარიშის დამოუკიდებელი ქვეთავი ეთმობა ხელოვნურ ინტელექტს. ანგარიშის თანახმად, ხელოვნური ინტელექტი წარმოშობს როგორც შესაძლებლობებს ქვეყნის უსაფრთხოების გასამტკიცებლად, ასევე - უამრავ ახალ საფრთხესაც. სუსის განცხადებით, ისინი 2024 წლის განმავლობაში მუშაობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტრატეგიული მიდგომის, პრიორიტეტული ამოცანების, მოსალოდნელი საკანონმდებლო რეგულაციების, მოსალოდნელი რისკების შესწავლაზე. ანგარიშის მიხედვით, *საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკურ წრებთან დაკავშირებული ჯგუფები გეგმავდნენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ყალბი ჩანაწერების გავრცელებას, რასაც უნდა გამოეწვია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, ეკლესიასა და ხელისუფლებას, დასავლელ პარტნიორებსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება*. მიუხედავად აღნიშნული ფაქტებისა, დოკუმენტში არ არის საუბარი, იდენტიფიცირების შემდეგ რა ტიპის ღონისძიებები გაატარა უწყებამ და რა მიზეზით არ განხორციელდა დაგეგმილი ქმედება.

კორუფცია

ანგარიშის თანახმად, კორუფცია წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების რისკს, ვინაიდან სხვადასხვა დაინტერესებულ ძალას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ, უაღვილებს დესტრუქციული ღღის წესრიგის გატარებას, უკანონო და კრიმინალურ საქმიანობას. 2024 წელს, სუსის ანგარიშის მიხედვით, ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო



23 სისხლის სამართლის საქმეზე, პასუხისგებაში კი 39 პირი მისცა ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სხვა. კორუფციულ შემთხვევებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით გაზრდილია. 2023 წელს სუსმა 14 საქმეზე დაიწყო გამოძიება.⁵¹ საინტერესოა, რომ საანგარიშო პერიოდში საპროცესო განრიდება გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის სამ საქმეზე, ექვსი პირის მიმართ. როგორც ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, ასევე ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულების საკმაოდ მსუბუქი ხასიათი (სამ საქმეზე სულაც განრიდება იქნება გამოყენებული) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კორუფციულ დანაშაულებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების რესურსის გამოყენება არაგონივრულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ანგარიშში დასახელებული კორუფციული დანაშაულები ძირითადად სამოხელეო დანაშაულებს მიეკუთვნება. სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის უშუალოდ ამ დანაშაულებიდან მომდინარე რისკებზე ანგარიშში არაფერია ნათქვამი. თავისთავად, ზოგიერთი სამოხელეო დანაშაულის შინაარსიდან გამომდინარე, მათზე ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის რესურსის ხარჯვა არაგონივრულია.

სუსი საკუთარი საქმიანობის დადებითად შეფასების კრიტერიუმად ასახელებს არასამთავრობო ორგანიზაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობის” „კორუფციის აღქმის ინდექსს“, რომლის თანახმადაც, საქართველო 180 ქვეყანას შორის 53-ე ადგილს იკავებს და ევროკავშირის და ნატოს წევრ 11 ქვეყანას უსწრებს. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ არასამთავრობო ორგანიზაციებს Deep State-ის ინსტრუმენტებად აცხადებს, როგორც აღმოჩნდა, ზოგჯერ Deep State-ის წარმომადგენლების მხრიდან პოზიტიური შეფასება, მაინც სასიამოვნოა.

ანგარიშის თანახმად, დიდი ყურადღება ეთმობა კორუფციის პრევენციას, რისთვისაც ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და საჯარო მოხელეებთან. პრევენციული სამუშაოების წარმატების დასტურად მოყვანილია მამხილებლების მიერ გამოგზავნილი შეტყობინებების რაოდენობის ზრდა. 2024 წელს მიღებული შეტყობინებების რაოდენობა ანგარიშში დაკონკრეტებული არ არის, 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით კი, კორუფციულ შემთხვევებთან დაკავშირებით⁵² მოქალაქეთა მხრიდან უწყებაში 47 შეტყობინება შევიდა.

⁵¹ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2023 წელი, გვ. 37. ხელმისაწვდომია: <https://sbg.gov.ge/page/info/reports>
⁵² იქვე.



სამართლებრივი ბაზა და სასამართლოსთან ურთიერთობა

ანგარიშის ეს თავი ძირითადად სტატისტიკურ მონაცემებს მოიცავს. კერძოდ, ნათქვამია, რომ სუსმა მოამზადა 150-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი და პოზიცია დააფიქსირა სხვა უწყებების მიერ შემუშავებულ 210 სამართლებრივი აქტის პროექტზე. სამსახურის უშუალო ავტორობით მომზადდა 45 სამართლებრივი აქტი. ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გაეგზავნა სუსის უფროსის მიერ გამოცემული შვიდი საიდუმლო ნორმატიული აქტი. ანგარიშის თანახმად, გრძელდებოდა შიდა სამსახურებრივი რეგულაციების დახვეწის პროცესი, მათ შორის ევროკავშირის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით. რაც შეეხება განახლებული რეგულაციების თემატიკას, ანგარიშის მიხედვით, გადაისინჯა და განახლდა მოსამსახურეთა სპეციალურ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, კანდიდატთა სამედიცინო შემოწმების, სანდოობის დადგენის რეგულაციები, ასევე სამსახურის სამობილიზაციო გეგმები. 2024 წელსვე საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა ტერორიზმში ან საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენაში ბრალდებულის/მსჯავრდადებულის კომუნიკაციის შეზღუდვის საფუძვლები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შესახებ ანგარიშში მოცემული მცირე და ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია მსჯელობა ამ ცვლილებების ავტორიანობასა და პოზიტიურ სიახლეებზე.

რაც შეეხება უწყების ურთიერთობას სასამართლოებთან, ანგარიშის თანახმად, განჩინების საფუძველზე, სასამართლოებს მიეწოდა 1100-ზე მეტი საიდუმლო და არასაიდუმლო მტკიცებულება, დამუშავდა სასამართლოდან შესული 775 დოკუმენტი, სუსს 2024 წელს წარმოებაში ჰქონდა 39 სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავა, რომელთაგან 12 დასრულდა სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში, ხოლო 1 შემთხვევაში - მხარესთან მორიგებით. ანგარიში იტყობინება, რომ დავების უმრავლესობაში სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სამსახურის პოზიცია, თუმცა უცნობია, კონკრეტულად რამდენ დავაში. ასევე უცნობია დავების ძირითადი შინაარსი.

ანგარიშვალდებულება, პერსონალური მონაცემები, საჯარო ინფორმაცია

ანგარიშვალდებულების საკითხთან დაკავშირებით ანგარიშში მოყვანილია პარლამენტის ნდობის ჯგუფთან სუსის თანამშრომლობის, ასევე 2023 წლის ანგარიშის პარლამენტში წარდგენის ფაქტები. თუმცა უკვე მრავალი წლის მანკიერ პრაქტიკადაა დამკვიდრებული, რომ უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან, ყველაზე სუსტი კონტროლი სუსზე



ხორციელდება.⁵³ ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში უწყებამ უპასუხა პარლამენტის წევრების ხუთ წერილობით კითხვას, ხოლო 2023 წელს უწყებაში 14 კითხვა გაიგზავნა. პარლამენტის წევრებს⁵⁴ კონტროლის სხვა მექანიზმისთვის, წინა წლების მსგავსად, არ მიუმართავთ. როგორც წესი, უწყების კონტროლის მექანიზმებს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყენებდნენ. შესაბამისად, 26 ოქტომბრის მასობრივად გაყალბებული არჩევნების შემდეგ, მხოლოდ „ქართული ოცნებისგან“ დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა, კიდევ უფრო ფორმალური გახდება.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, ანგარიშის თანახმად, 2024 წელს უწყებაში შევიდა 71 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 50, სხვა უწყებებში რეაგირებისთვის გაიგზავნა ექვსი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ექვსი და არ დაკმაყოფილდა ცხრა. საჯარო ინფორმაციის გაცემის ასეთი კარგი სტატისტიკა ნაკლებად დამაჯერებელია, სუსთან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წინა წლებში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველობის მოტივით, საკმაოდ ხშირად სუსი ბლანკეტურად და დაუსაბუთებლად ამბობს უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. თავად უწყების ანგარიშების მიხედვით, 2023 წელს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ შევიდა 66 განცხადება, რომელთაგან 49 დაკმაყოფილდა.⁵⁵

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ მოცემული ინფორმაციის თანახმად, 2024 წელს საბიუჯეტო სახსრებით ეკონომიკის დეპარტამენტმა გააფორმა 340 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებაა 21 623 473,04 ლარი. საანგარიშო წელს გამოცხადდა 152 ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმდა 132 პრეტენდენტთან. წინა წლის ანგარიშის თანახმად კი, გაფორმდა 367 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 27 467 384,08 ლარი. შესაბამისად, წინა წელთან შედარებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის გაწეული ხარჯები თითქმის 6 მილიონი ლარით არის შემცირებული. ინფორმაცია სუსის ინფრასტრუქტურული თუ მატერიალური საჭიროებების შესახებ, გასაიდუმლოებულია. ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის შემთხვევაში, გასაიდუმლოების ფაქტი არ იქნებოდა განსაკუთრებულად შემამშოოთებელი, რადგან იარსებებდა თანხების მიზნობრივი ხარჯვის დემოკრატიული კონტროლის საშუალება.

⁵³ DRI, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები, გვ. 46-47. ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1404/>

⁵⁴ იქვე, გვ. 21.

⁵⁵ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2023 წელი, გვ. 43. ხელმისაწვდომია: <https://sbg.gov.ge/page/info/reports>